ოქმი:**ო05. 3722322001**

თარიღი:**18/11/2022**

ოქმი №10
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2022 წელი, 18 ნოემბერი

ქ.ოზურგეთი

16.00-17.00 საათი

თავმჯდომარეობდა: პაატა კიღურაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: მ. ჩხიკვიშვილი, ნ. ნადირაშვილი, ბ. კილაძე, ე. გორდელაძე, ვ. ნიჟარაძე, ი. ბიგვავა, ხ. ცერცვაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის წერილის განხილვის შესახებ.
მომხსენებელი: პ. კიღურაძე

თანამომხსენებელი: მ. ჩხიკვიშვილი.
3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებსა და კომისიებში კვოტების გადანაწილების შესახებ
მომხსენებელი: პ. კიღურაძე
სხდომის თავმჯდომარემ, პ.კიღურაძემ, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის ძირითადი პარამეტრები, ვრცლად ბიუჯეტის პროექტი კომისიის წევრებს გააცნო თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ. ამის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრმა ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ ბიუჯეტის პროექტი მერიის მიერ წარმოდგენილია არსებული კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, მისასალმებელია სოციალური პროგრამების დაფინანსების ზრდა, აღნიშნა, რომ სასურველია ბიუჯეტთან ერთად დამტკიცდეს სოციალური დახმარებების გაცემის წესი. ხაზი გაუსვა შესრულებული სამუშაოების შეფასების კრიტერიუმების დახვეწის აუცილებლობას, სარეზერვო ფონდის მიზნობრივ ხარჯვას. აღნიშნა, რომ კომისიის სამუშაო ჯგუფმა იმსჯელა და მოამზადა დასკვნა, რომელშიც მხარს უჭერს, პროექტის საკრებულოს სხდომაზე განხილვის შემდეგ, გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად კორექტირების მიზნით,

მერიისათვის დაბრუნებას. კომისიის წევრებმა კენჭისყრით მხარი დაუჭირეს ამ წინადადებას.
დღის წესრიგის მეორე საკითხზე თანამომხსენებელმა მ. ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ ფრაქციას წერილობით მიმართეს წევრებმა ე. გორდელაძემ და გ. ჩავლეშვილმა ფრაქციიდან გასვლის თაობაზე, არსებული კანონმდებლობიდან გამომდინარე, თხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე ეცნობება საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას.
სხდომის თავმჯდომარემ, პ. კიღურაძემ მესამე საკითხზე განაცხადა, რომ ფრაქციაში მომხდარი ცვლილებებიდან გამომდინარე ცვლილებები უნდა მოხდეს ფრაქციებსა და კომისიებში კვოტების გადანაწილებაზე, რაზედაც ინფორმაცია მიეწოდოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას.

გადაწყვეტილება:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული კომისიის სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი N 1 საკითხის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვის მიზნით.

2. დღის წესრიგის N 2, 3 საკითხზე ინფორმაცია მიეწოდოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი